ვილნიუსი უზენაესი შეხვედრის პარტნიორებისთვის და მთელი ევროკავშირისთვის კარგი შესაძლებლობ პარასკევი, 06 სექტემბერი 2013 12:27

დღეს ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე თავის ქვეყანაში ვიზიტით მყოფი ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების და უშიშროების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელს, ევროპის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს კეტრინ ეშტონს შეხვდა. შეხვედრაზე "აღმოსავლეთ პარტნიორობის" პროგრამის წევრ ქვეყნების ვილნიუსში მოსალოდნელ უზენაესი შეხვედრისთვის მომზადება, აგრეთვე ევროკავშირის საგარეო და დაცვის პოლიტიკის სხვა საკითხები განიხილეს. ლიტვის პრეზიდენტმა განაცხადა: "ლიტვა ნოემბერში ჩატარებულ ვილნიუსის უზენაეს შეხვედრას სერიოზულად და პასუხისმგებლობით ემზადება. ეს ჩვენი ევროკავშირის საბჭოში თავმჯდომარეობის ფარგლებში ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე დიდი ღონისძიებაა. უზენაესი შეხვედრა ევროკავშირისა და "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარებაში ახალი ეტაპის და ახალი შესაძლებლობების დასაწყისი შეიძლება გახდეს. ამისთვის ევროკავშირის წევრი და პარტნიორი ქვეყნების, აგრეთვე ევროკავშირის სტრუქტურების ახლო მონაწილეობა და მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო".

1 / 1